დამტკიცებულია

***ბაფ*-ის გამგეობის**
სხდომაზე
ოქმი №3

<u>20</u> <u>მარტი</u> 2015წ.

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფი)
საწევრო კომიტეტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ზოგადი დებულებები

1.1.***საწევრო კომიტეტი*** (შემგომში „***კომიტეტი***“) წარმოადგენს ***საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის*** (შემდგომში ***ბაფი***) მუდმივ მოქმედ ორგანოს;

1.2.„***კომიტეტი***“ შექმნილია ***ბაფ***-ის წესდების მოთხოვნებიდან გამომდინარე;

1.3.„***კომიტეტი***“ მოწოდებულია ხელი შეუწყოს ***ბაფ***-ის საწესდებო მოთხოვნების შესრულებას და მისი ნამდვილი ასოცირებული და კორპორაციული წევრებისა (შემგომში-წევრი) და წევრობის კანდიდატების ორგანიზაციული მდგომარეობის ფორმალიზაციას;

1.4.„***კომიტეტი***“ თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს წინამდებარე დებულებით, ***ბაფ***-ის წესდებით, ***ბაფ***-ის წევრთა საერთო კრებისა და ***ბაფ***-ის გამგეობის გადწყვეტილებებით, ***ბაფ***-ის გამგეობის თავჯდომარის განკარგელებებით, აგრეთვე ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო აქტებითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით;

1.5.„***კომიტეტის***“ დებულება არეგულირებს მის საქმიანობას. დებულებას ამტკიცებს ***ბაფ***-ის გამგეობა;

1.6.„***კომიტეტის***“ ფუნქციის უკეთ განხორციელების მიზნით „***კომიტეტში***“ შეიძლება შეიქმნას ქვეკომიტეტები (განყოფილებები). ქვეკომიტეტები იქმნება „***კომიტეტის***“ გადაწყვეტილებით, ***ბაფ***-ის გამგეობასთან შეთანხმებით. ქვეკომიტეტების შექმნის მიზანს, მათი მუშაობის რეგლამენტს და პერსონალურ შემადგენლობას განსაზღვრავს „***კომიტეტი***“;

1.7.„***კომიტეტის***“ გადაწყვეტილებით, ***ბაფ***-ის გამგეობასთან შეთანხმებით, „***კომიტეტის***“ ფუნქციები შეიძლება დელეგირებული იყოს ქვეკომიტეტებზე;

1.8.„***კომიტეტის***“ გადაწყვეტილებები სავალდებულოა ***ბაფ***-ის წევრებისა და ყველა სტრუქტურული ერთეულის ქვედანაყოფებისათვის.

1.9.***ბაფ***-ის გამგეობა უფლებამოსილია დაამტკიცოს უცვლელად, უარყოს ან შეიტანოს ცვლილებები და დამატებები „***კომიტეტის***“ გადაწყვეტილებებში.

2. „*კომიტეტის*“ მიზნები და ამოცანები

2.1.„***კომიტეტის***“ მიზნებია:

2.1.1.ფედერაციაში წევრობის კანდიდატების გაწევრიანება;

2.1.2.***ბაფ***-ის წევრობის კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების დროული და ობიექტური განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;

2.1.3.საწევრო კომიტეტს ხმათა უმრავლესობით შეუძლია მიიღოს წევრად ან უარი უთხრას წევრობის კანდიდატს. უარყოფილმა კანდიდატმა უნდა მიიღოს ნათელი განმარტება იმის შესახებ, თუ რატომ ეთქვა უარი. მას უფლება აქვს ხელახლა შეიტანოს თხოვნა წევრობის შესახებ ან მიმართოს ფედერაციის გამგეობას.

2.1.4.***ბაფ***-ის წევრების აღრიცხვიანობის და ***ბაფ***-ის ბუღალტერიასთან ერთად საწევრო და გაწევრიანების მოსაკრებლების აღრიცხვის საქმიანობის წარმართვა;

2.1.5.***ბაფ***-ის წევრებზე მათი გარიცხვის და/ან წევრობის შეჩერების შესახებ საკითხის დროული და ობიექტური განხილვა და მიღებული გადაწყვეტილების წარდგენა ***ბაფ***-ის გამგეობის სხდომებზე დასამტკიცებლად;

2.2.„***კომიტეტის***“ამოცანები:

2.2.1.***ბაფ***-ის წევრობის დებულების მიღება და გამგეობის სხდომებზე დასამტკიცებლად წარდგენა;

2.2.2.***ბაფ***-ის წევრობის კანდიდატების განცხადებების განხილვა, მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ***ბაფ***-ის წესდებასთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.3.***ბაფ***-ის წევრების წევრობის საკითხების შესწავლა განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;

2.2.4.***ბაფ***-ის წევრების წევრობიდან გასვლის, გარიცხვის ან წევრობის შეჩერების საკითხების შესწავლა, განხილვა და სარეკომენდაციო დასკვნის მომზადება და წარდგენა ***ბაფ***-ის გამგეობის სხდომებზე;

2.2.5.***ბაფ***-ის წევრების აღრიცხვა, მათი პირადი საქმეების გახსნა და წარმოება;

2.2.6.***ბაფ***-ის და ბუღალტერიასთან ერთად საწევრო და გაწევრიანების მოსაკრებლების დროულად შეგროვება და აღიცხვა;

2.2.7.განათლების კომიტეტთან ერთად აღრიცხავს ***ბაფ***-ის წევრების სერთიფიცირებამდელ და მის შემდგომ საკვალიფიკაციო მომზადებას;

2.2.8.***ბაფ***-ის წევრებისა და საწევრო მოსაკრებლების შესახებ პერიოდულად ანგარიშგების მომზადება და ჟურნალში „*ბუღალტრული აღრიცხვა*“ ან/და ***ბაფ***-ის ვებ გვერდზე გამოქვეყნება;

2.2.9.***ბაფ***-ის წევრების მიმართ გამოყენებული ადმინისტრაციული ღონისძიებების, წევრობის შეჩერების, გარიცხვის ფაქტების აღრიცხვა, მათი ვინაობისა და გატარებული ადმინისტრაციული ღონისძიებების მიზეზების ჟურნალში „*ბუღალტრული აღრიცხვა*“ ან/და ***ბაფ***-ის ვებ გვერდზე გამოქვეყნება;

2.2.10.„***კომიტეტის***“ მიერ მიღებული და ჟურნალში „*ბუღალტრული აღრიცხვა*“ ან/და ***ბაფ***-ის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული გადაწყვეტილებები ***ბაფ***-ის წევრების მიმართ გამოყენებული ადმინისტრაციული ღონისძიებების შესახებ არის ოფიციალური და გამოქვეყნების შემდგომ ***ბაფ***-ის წევრების პრეტენზიები მათი გაუფრთხილებლობის შესახებ მხედველობაში არ მიიღება;

3. „*კომიტეტის*“ შემადგენლობა და მუშაობის წესი

3.1.„*კომიტეტის*“ შემადგენლობა ფორმირდება ***ბაფ***-ის წევრებისაგან. „*კომიტეტის*“ წევრად შეიძლება მოწვეულ და არჩეულ იქნას ***ბაფ***-ის არაწევრი პიროვნება;

3.2.„*კომიტეტის*“ რაოდენობრივ და პერსონალურ შემადგენლობას ირჩევს და ამტკიცებს ***ბაფ***-ის გაბგეობა, კომიტეტის თავმჯდომარის წარდგინებით;

3.3.„*კომიტეტი*“ ირჩევა ორი წლის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდგომ „*კომიტეტი*“ აგრძელებს თავისი ფუნქციების შესრულებას ახალი შემადგენლობის არჩევამდე. „*კომიტეტის*“ ყოველი წევრი შეიძლება არჩეული იქნას ახალი ვადით. ახალი ვადით არჩევა შეზღუდული არ არის;

3.4.„*კომიტეტის*“ ყოველ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება;

3.5.თავისი საქმიანობის წარმატებით განხორციელების მიზნით „*კომიტეტი*“ უფლებამოსილია „*კომიტეტის*“ სხდომაზე მოიწვიოს ***ბაფ***-ის წევრი და არა წევრი სპეციალისტები სათათბირო ხმის უფლებით;

3.6.„*კომიტეტის*“ თავჯდომარეს ამტკიცებს ***ბაფ***-ის გამგეობა. „*კომიტეტის*“ თავმჯდომარე შეიძლება იყოს ***ბაფ***-ის გამგეობის წევრი;

3.7.თავმჯდომარე ხელმძღვანელობს „*კომიტეტის*“ მუშაობას, იწვევს და თავმჯდომარეობს „*კომიტეტის*“ სხდომებს, წარმოადგენს მას ***ბაფ***-ის გაბგეობისა და ***ბაფ***-ის წევრთა საერთო კრებაზე;

3.8.თავმჯდომარე უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, ***ბაფ***-ის გამგეობის წინაშე დააყენოს „*კომიტეტის*“ შემადგენლობიდან მისი ცალკეული წევრების გაყვანის საკითხი;

3.9.„*კომიტეტის*“ სხდომებს ატარებს მისი თავმჯდომარე. მისი არ ყოფნის შემთხვევაში და თუ თავმჯდომარეს არავითარი მითითება არ ექნება მიცემული, „*კომიტეტის*“ დამსწრე წევრები თავიანთი შემადგენლობიდან ირჩევენ სხდომის თავჯდომარეს;

3.10.„*კომიტეტის*“ სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება მისი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. „*კომიტეტის*“ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია სხდომის მონაწილე წევრთა უბრალო უმრავლესობა;

3.11.„*კომიტეტის*“ სხდომა შეიძლება ჩატარდეს გამოკითხვის წესით;

3.12.„*კომიტეტის*“ სხდომა ფორმდება შესაბამისი ოქმით;

3.13.„*კომიტეტის*“ წევრები ვალდებულნი არიან რეგულარულად მიიღონ მონაწილეობა „*კომიტეტის*“ სხდომებში. წევრი რომელიც უმიზეზოდ გააცდენს მიდინარე წელს ჩატარებული სხდომების 50%-ს, წევრთა უმრავლესობის თანხმობით და თავჯდომარის გადაწყვეტილებით გაყვანილი იქნება „*კომიტეტის*“ შემადგენლობიდან. ეს გადაწყვეტილება უნდა დამტკიცდეს ***ბაფ***-ის გაბგეობის სხდომაზე.

3.14.„*კომიტეტის*“ წევრის არაკომპენტეტურობის შემთხვევაში თავჯდომარის ან წევრთა 2/3-ის ინიციატივით ***ბაფ***-ის გაბგეობის სხდომაზე დგება საკითხი ასეთი წევრის„*კომიტეტის*“ შემადგენლობიდან გაყვანის შესახებ.